ოქმი N1

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2020 წლის 29 იანვარი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 31 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 30 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას მიულოცა 2020 წლის შემობრძანება და უსურვა წარმატებები საქმიანობაში და მადლობა გადაუხადა მათ იმ წვლილისთვის, რაც მათ შეაქვთ სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში. ისაუბრა მუნიციპალიტეტში განხორციელებულ და განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით. მცირეოდენი შესავლის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ 2020 წლის საკრებულოს პირველი სხდომა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის მოსმენის შემდეგ გახსნილად გამოაცხადა.

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: თ. გელანტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების კვარტალური განწერის დასამტკიცებლად ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით)“ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

7. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი
კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, კ. ნასარაია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ი. ჯიშკარიანი - გამომსვლელი დაინტერესდა ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო თუ არა მეწყერის შედეგად დაზარალებული ოჯახების დაფინანსება? ასევე დაინტერესდა ოქროს საწმისში მოსახლეობის სასმელი წყლის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით რა მდგომარეობა იყო?

ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - გამომსვლელმა განმარტა, რომ მეწყერის შედეგად დაზარალებული ოჯახების მიმართ ქულების მინიჭება ხდება მთავრობის მიერ და დაფინანსებაც მათმიერვე ხორციელდება. რაც შეეხება თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში, ოქროს საწმისის უბნის მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფას, აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად ტენდერი გამოცხადდა და გამარჯვებული კომპანიაც გამოვლინდა, რომელიც განახორციელებს შესაბამის სამუშაოებს.

ა. ქირია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ვერსად ვერ ამოიკითხა ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლის ამბულატორიასთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარების შესახებ. შენობა სადაც სოფლის ამბულატორია არის განთავსებული, სავალალო მდგომარეობაშია, მინიმუმ წყალი არ არის შეყვანილი და უმძიმესი პირობებია. აღნიშნულთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომებზეც რამდენჯერმე იყო გაჟღერებული და დაინტერესდა თუ რა ღონისძიებები იყო დაგეგმილი

შენობის სარეაბილიტაციოდ? ასევე დაინტერესდა ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულის ოხვამეკარის წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით რა მდგომარეობა იყო?

ვ. გაბედავა - გამომსვლელმა განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა მთავრობასთან, ელოდებიან შესაბამის განკარგულებას და თანხის გამოყოფას ცენტრალური ხელისუფლებიდან, რის შემდგომ იქნება თანხები მიმართული აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად. რაც შეეხება ოხვამეკარში წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას, ამ ეტაპისთვის, საპროექტო სამუშაოები განხორციელებულია და ელოდებიან შესაბამისი თანხის მოძიებას აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად.

ე. ჯობავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ იყო სოფლები სადაც ნაკლებად განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები, მაგალითად პირველი ხორგის ადმინისტრაციული ერთეულში, მაგრამ ასევე განაცხადა, რომ მერიასთან კოორდინირებული მუშაობით, აღნიშნულ სოფელში აშენდება საბავშვო ბაღი, რომელიც თანამედროვე სტანდარტებს დააკმაყოფილებს. მისი განცხადებით, ეტაპოვრივად ხორციელდება სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის ცენტრამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და ეს პროცესი ბოლომდე იქნება განხორციელებული არცერთი სოფელი არ დარჩება რეაბილიტირებული გზის გარეშე.

ლ. ცატავა - გამომსვლელი დაინტერესდა ხამისქურის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის მოთხოვნა, ეკლესიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია როდისთვის განხორციელდებოდა?

ვ. გაბედავა - გამომსვლელმა განმარტა, რომ ამ შემთხვევაშიც პროექტი უკვე მზად იყო, მაგრამ ამის განხორციელება დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული და ადგილობრივი ბიუჯეტით ვერ განხორციელდებოდა, გამომდინარე აქედან, შესაბამისი მოთხოვნით მიემართეს ინფრასტრუქტურის სამინისტროს და იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნულ პროექტის განსახორციელებლად შესაბამისი თანხები იქნება გამოყოფილი.

მ. ქარდავა - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - გამომსვლელმა მიმართა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს, რომ კანონის შესაბამისად შრომის ანაზრაურების შეცვლა არ შეიძლებოდა, მაგრამ მერიის შრომის ანაზღაურება სამჯერ შეიცვალა, საკრებულოსი კი არცერთხელ გაზრდილა.

დ. ჭოჭუა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მიმართეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ზემდგომ ორგანოებს და მათი თანხმობის შედეგად იქნა გაზრდილი მერიის შრომის ანაზღაურება.

მ. ქარდავა - გამომსვლელმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ კანონი არ ითვალისწინებდა შრომის ანაზრაურების გაზრდას და მისი აზრით ეს იყო პარამეტრების დარღვევა და შეცდომა.

დ. გაბუნია - გამომსვლელმა კითხვით მიმართა შპს „ხობი დასუფთავება და განათების" ხელმძღვანელ პირებს, გამომდინარე აქედან, რომ მიმდინარე წელს მარადმწვანე ხეების შესაძენად გათვალისწინებული იყო 50,0 ათასამდე ლარი მის შესაძენად. დაინტერესდა ვინმესთან იყო თუ არა შეთანხმებული, მარადმწვანე ხეები ქალაქის რომელ ტერიტორიაზე იქნებოდა განთავსებული. მისი განცხადებით, რამდენიმე წელია დროდადრო ხეები ირგვება, მაგრამ უმეტესობა გახმა და ამას უნდა მიექცეს ყურადღება.

ნ. ბუკია - შპს „ხობი დასუფთავება და განათების" დირექტორი - გამომსვლელმა განმარტა, რომ აღნიშნული ხეები თუ სად უნდა განთავსდეს შეთანხმდება შესაბამის სამსახურებთან, ხოლო მარადმწვანე ნარგავების გახმობასთან დაკავშირებით მართლაც არის ხარვეზები, რადგანაც სარწყავი სისტემის პრობლემა გააჩნიათ.

დ. გაბუნია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ისეთი ჯიშის მარადმწვანე ხეები იქნეს შემოტანილი და დარგული, რომელიც ხობის მუნიციპალიტეტის რელიეფს მოერგება და გაიხარებს.

მ. ქარდავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მიესალმება, ქალაქში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, მაგრამ გამომსვლელს უფრო მართებულად მიაჩნია შემუშავდეს ქალაქის განაშენიანების გენ გეგმა, რომელიც დიდ თანხებთან არ იყო დაკავშირებული და ამის შემდეგ განხორციელიყო ქალაქში ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობა.

სხდომის თავმჯდომარემ დებატების დასრულების შემდგომ სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში იზრდება შემოსავლები მუხლიდან „ქონების გადასახადი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე" 632,0 ათასი ლარით. არსებული ნაშთიდან ხდება 2537,3 ათასი ლარის ასახვა ბიუჯეტში. 2020 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით 2410,5ათასი ლარით იზრდება შემოსავლები „გრანტებიდან" (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან). ნაშთის და შემოსულობების ზრდით მიღებული ასიგნებები, სულ 3169,3 ათასი ლარი მიიმართება შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად: პრიორიტეტის „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინასებაზე"

მიიმართება 53,0 ათასი ლარი; 3056,2 ათასი ლარი - პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" ასიგნებაზე, აქედან, „გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა" - 547,9 ათასი ლარი, „ხიდების, ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია და შენახვა" – 123,6 ათასი ლარი, „წყლის სისტემების რეაბილიტაცია" – 150,0 ათასი ლარი, „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია" – 2067,1 ათასი ლარი, „დასუფთავების ღონისძიებები" – 100,0 ათასი ლარი, „სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია" – 60,0 ათასი ლარი, „რეგიონში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინასება" – 7,6 ათასი ლარი; პრიორიტეტი „განათლება" ასიგნებაზე მიიმართება 45,1 ათასი ლარი; პრიორიტეტი „კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები" ასიგნებაზე - 15,0 ათასი ლარი. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N44 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა გაიზარდა 3042,5 ათასი ლარით და შეადგინა 13135,0 ათას ლარი. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კომისიას სერიოზული ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია და მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ნასარაია, ი. ნადარაია, ნ. ვეკუა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N1 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ კომისიის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით, 2020 წლის 1 იანვრიდან ცვლილება შევიდა საქართველოს კანონში „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“, რომლითაც შეიცვალა როგორც კანონის სათაური, ასევე გაიზარდა მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები მიწის რეგისტრაციის პროცესში, რაც იწვევს კონკრეტულ სფეროში მოქმედი კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტის ცვლილებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების მე-17 მუხლში, რომლითაც რეგულირდება მერის წარმომადგენლის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, განსახორციელებელია სათანადო ცვლილებები. ცვლილებების განხორციელება ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს მიანიჭებს უფლებამოსილებას სარგებლობის უფლებით არსებული უძრავი ქონების საკუთრების უფლებით დაკანონებასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის სახელით გასცეს ცნობა და გამოსცეს სამართლებრივი აქტი. ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობას, თუმცა კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დადგენილების პროექტის პრეამბულას დაემატოს სიტყვა „ორგანული“ და დამტკიცდეს კორექტირებული სახით.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ კორექტირებულ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ნადარაია კ. ნასარაია, ნ. ვეკია, ლ. ცატავა, ი. ჯიშკარიანი, დ. გაბუნია, კ. გოქაძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N2 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: თ. გელანტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: თ. გელანტია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მიერ მომზადდა საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმა საკრებულოს კომისიების წლიური გეგმისა და მერიის მიერ 2020 წელს მოსამზადებელი პროექტების გათვალისწინებით, რომელიც გათვლილია კვარტლების მიხედვით. კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ნადარაია კ. ნასარაია, ნ. ვეკია, ი. ჯიშკარიანი, დ. გაბუნია, კ. გოქაძე, ა. ხუნჯუა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N1 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების კვარტალური განწერის დასამტკიცებლად ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების კვარტალური განწერის დასამტკიცებლად ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ შესაბამისად მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესაბამისად მომზადდა ადგილობრივი ბიუჯეტის კვარტალური განწერა, რაც გულისხმობს ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ყოველკვარტალურად განაწილებას საბიუჯეტო კლასიფიკაციის (გარდა ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციისა) მიხედვით. გამომსვლელის განცხადებით, მერიის მიერ წარმოდგენილ პროექტში იყო ტექნიკური ხასიათის შენიშვნები, რომელიც კომისიის მიერ იქნა ჩასწორებული, დანარჩენს რაც შეეხება პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე კორექტირებული სახით მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ კორექტირებულ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ნადარაია კ. ნასარაია, ნ. ვეკია, დ. გაბუნია, კ. გოქაძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N2 ოქმს თან ერთვის)

მეოთხე საკითხის კენჭისყრის დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ობიექტური მიზეზების გამო სხდომას ვერ ესწრებოდა, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი (ა. ვარდია), გამომდნარე აქედან, მე-5 და მე-6 საკითხს წარმოადგენდა, მერიის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის, ბუნებრივი რესურცებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ლამზირა თოდუა.

5. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით)" გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ლ. თოდუა - მერიის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის, ბუნებრივი რესურსებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით)" გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის განმარტებით, რომ მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის სოსო გიორგაძის ხელმოწერით წერილი, სადაც ითხოვენ ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული მოძრავი ქონება, დანართის შესაბამისად, თხოვების ფორმით, უვადოდ, უსასყიდლოდ გადაეცეს სსიპ

იუსტიციის სახლს. სამსახური თანახმაა აღნიშნული ქონება მათი მოთხოვნის საფუძველზე გადაეცეს სსიპ იუსტიციის სახლს. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, თუმცა კომისიის მიერ პროექტში შეტანილ იქნა გარკვეული სტილისტური შესწორებები და მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი კორექტირებული სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ კორექტირებულ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ნადარაია კ. ნასარაია, ნ. ვეკია, გ. წულაია, ა. ხურცილავა, მ. ქარდავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N3 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ლ. თოდუა - მერიის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის, ბუნებრივი რესურცებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის

მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის განმარტებით, მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში ირიცხება ამორტიზირებული და ექსპლოატაციისთვის უვარგისი უძრავი და მოძრავი ქონება, რომლის ნარჩენი ღირებულება დღეის მდგომარეობით ნულის ტოლია. ასევე ბალანსზე ირიცხება ქონება, რომელიც მუნიციპალიტეტს გადმოეცა 2007 წელს და ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას. აღნიშნულ ქონებებზე გააჩნიათ აუდიტორული შეფასებები და დასკვნები. სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დანართის შესაბამისად წარმოდგენილი ქონებები ჩამოიწეროს და ამოღებულ იქნას ბალანსიდან. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, თუმცა კომისიის მიერ პროექტში შეტანილ იქნა გარკვეული სტილისტური შესწორებები და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი კორექტირებული სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ კორექტირებულ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ნადარაია კ. ნასარაია, ნ. ვეკია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N4 ოქმს თან ერთვის)

7. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი).

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ

კომისიის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური საჭიროებს ფიჭური კავშირგაბმულობის სატელეფონო ნომრით ინტერნეტ მომსახურების ლიმიტის გაზრდას, რადგანაც ხშირ შემთხვევებში (DSM) ინტერნეტის დაბალი სიჩქარის გამო ვებ პორტალების: etreasury.ge, ebudget.ge და spa.ge მუშაობა ფერხდება და დიდი ზომის ფაილების ატვირთვა ვერ ხერხდება. ცვლილება ხორციელდება განკარგულებით უკვე განსაზღვრული ხარჯებიდან პერიოდულად არსებული ეკონომიის ფარგლებში, რის გამოც ბიუჯეტში სათანადო ცვლილების განხორციელების საჭიროება არ დგება, კერძოდ: 10 ლარით იზრდება ხობის მუნიციპალიტეტის მერის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ინტერნეტისთვის განსაზღვრული ლიმიტი. აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ნადარაია კ. ნასარაია, ნ. ვეკია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N5 ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა